ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4647621

ნომერი: AR1703300

თარიღი : 26.08.2019

გაცემის თარიღი : 27.08.2019

გაცნობის თარიღი : 03.09.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ლილო , ქუჩა ჭირნახული , N 9 , (ნაკვ. 03/013);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან გოგია პ/ნ 01024020629
- ჭავჭავაძის 1 ჩიხი #6

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 21 აგვისტოს №4641788 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 26

აგვისტოს №AR1703300 განცხადებით მომართა ლევან გოგიამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2019 წლის 21 აგვისტოს №4641788 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 21 აგვისტოს №4641788 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი - სამგორი, დასახლება ლილო, ქუჩა ჭირნახული, №9, (ნაკვ. 03/13) შპს „ვი თი ჯგუფი“-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.19.14.003.092), საწყობის მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გასვლის გამო, გაიცა ახალი მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 21 აგვისტოდან 2020 წლის 21 აგვისტოს ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2019 წლის 21 აგვისტოს №4641788 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, მშენებლობის ვადა „2019 წლის 21 აგვისტოდან 2020 წლის 21 აგვისტოს “-ს ნაცვლად დაფიქსირდა „2019 წლის 21 აგვისტოდან 2019 წლის 21 აგვისტოს“ ჩათვლით.
საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ 2019 წლის 12 აგვისტოს №AR1700093 განცხადებაზე მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკი წარმოდგენილი იქნა 12 (თორმეტი) თვეზე. შესაბამისად, განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია და სამსახურის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში მშენებლობის ვადა დაფიქსირებულ უნდა იქნას „2019 წლის 21 აგვისტოდან 2020 წლის 21 აგვისტოს ჩათვლით“.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 21 აგვისტოს №4641788 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „2. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 21 აგვისტოდან 2020 წლის 21 აგვისტოს ჩათვლით.“
2. სამსახურის 2019 წლის 21 აგვისტოს №4641788 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 21 აგვისტოს №4641788 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.